საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 4285-03
29/12/2020

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო პროგრამების აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა IEEE-ში (the Institute of Electrical and Electronics Engineers) გაწევრიანებისათვის კონკურსის გამოცხადებისა და პირობების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის, მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტისა და რექტორის მოადგილის, ნანა დიხამინჯიას 2020 წლის 25 დეკემბრის N12960-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო პროგრამების აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის IEEE-ში(the Institute of Electrical and Electronics Engineers) - უმსხვილეს პროფესიულ-ტექნოლოგიურ ორგანიზაციაში ინჟინერიის, კომპიუტერული მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, ერთწლიანი გაწევრიანების მიზნით, რომლის წლიური საწევროს გადახდას უზრუნველყოფს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. კონკურსის მონაწილეთათვის რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 18 იანვარი 23:59 საათი(საქართველოს დროით).
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა რეგისტრაცია უნდა გაიაროს ელექტრონულად მითითებულ ბმულზე https://forms.gle/f4PbWGfYS1K6UpWq6
4. კონკურსანტთა შერჩევა მოხდეს სამოტივაციო განაცხადისა(ელექტრონული რეგისტრაციის ველში მითითებული კითხვარი) და გასაუბრების საფუძველზე.
5. კონკურსანტებთან გასაუბრება მოხდეს 2021 წლის 26 იანვრიდან 5 თებერვლის ჩათვლით, დროისა და ონლაინპლათფორმის შესახებ კონკურსანტებს ეცნობებათ ინდივიდუალურად.
6. შესარჩევი კომისია დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართის მიხედვით.
7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს- ნანა დიხამინჯიას დაევალოს გამარჯვებულ სტუდენტთა სიის წარმოდგენა არაუგვიანეს 2021 წლის 8 თებერვლისა.
8. ამ ბრძანებით განსაზღვრული ინფორმაციის კონტროლი და ზედამხედველობა დაევალოს რექტორის მოადგილეს-ნანა დიხამინჯიას.

9. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება.
10. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს დაევალოს ამ ბრძანების გაცნობა ფაკულტეტის სტუდენტთათვის.
11. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის მოადგილეებს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამდივნოს, უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს.

გიგა ზედანია

რექტორი

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი